კირან კასტურია

წითელი საწვიმარი

ილუსტრატორი: **ზაინაბ თამბაუალა**

კვირას მანუს მშობლებმა წითელი საწვიმარი მოუტანეს.

– დე, შეიძლება ახლავე ჩავიცვა? – იკითხა მანუმ.

– არა, ჩემო ძვირფასო. წვიმების სეზონი ახლოვდება, მაგრამ ჯერჯერობით ცა კრიალაა,“ – მიუგო დედამ.

ორშაბათი ბრწყინვალე და მზიანი გათენდა.

– დღეს იწვიმებს, დედი?“ – იკითხა მანუმ.

– არა, მანუ, დღეს – არა. თუ საწვიმარს ჩაიცვამ, ძალიან სასაცილო იქნება, – მიუგო დედამ.

სამშაბათს ცა ლურჯად კრიალებდა.

– დე, როდისღა ამიხდება ნატვრა? – იკითხა მანუმ.

– დღეს არა, ჩემო ძვირფასო. ცაზე ერთადერთი თეთრი ღრუბელია, – მიუგო დედამ.

ოთხშაბათს ცხელოდა.

– დე, რატომ არ წვიმს? – იკითხა მანუმ.

– ჩემო ბიჭო, მგონი, სულ მალე გაწვიმდება. შეიძლება შუადღემდეც კი, – მიუგო დედამ.



ხუთშაბათს მანუ პიკნიკზე წავიდა.

– დე, რომ იწვიმოს, რა მეშველება? შეიძლება, საწვიმარი თან წავიღო? – იკითხა მანუმ.

– არა, ჩემო ძვირფასო, დღეს არ იწვიმებს. პატარა ღრუბლები ძალიან მაღლა არიან ცაზე, – მიუგო დედამ.



პარასკევი ღრუბლიანი გათენდა.

– დე, დღესაც არ იწვიმებს? – ხმამაღლა იკითხა მანუმ.

– შესაძლოა, ჩემო ძვირფასო. ცა შავი ღრუბლებითაა დამძიმებული, – მიუგო დედამ.

შაბათი ქუხილით დაიწყო!

ბადაბუმ!

– დე, ნუთუ ქუხილის ხმა მესმის? ძალიან მალე იწვიმებს, არა? – იკითხა მანუმ.

და როგორც იქნა, წვიმამ დასცხო!

– ოჰ, გაწვიმდა, გაწვიმდა! – აღიღინდა მანუ და გარეთ გავარდა.

– კი, მაგრამ, მანუ, – ძახილით დაედევნა დედა, – საწვიმრის ჩაცმა ხომ არ დაგავიწყდა?

წიგნის სათაური: **„წითელი საწვიმარი“**

კლასი: **2-3**

ტექსტის ტიპი: **მხატვრული, თხრობითი**

მანუს ახალი საწვიმარი უყიდეს. ერთი სული აქვს, გაწვიმდეს, რომ ჩაიცვას. მაგრამ წვიმას ეს სულაც არ აინტერესებს.

წაიკითხე და გაიგე, გამოიყენებს თუ არა ბოლოს და ბოლოს მანუ თავის წითელ საწვიმარს.

USAID საბაზისო განათლების პროგრამა

This book has been provided as part of the USAID Basic Education Program in Georgia. It has been adapted from the original story and translated into Georgian.
Original Title: “The Red Raincoat”, Author: Kiran Kasturia. Illustrator: Zainab Tambawalla. Published on StoryWeaver by Pratham Books. ©Pratham Books. Released under CC BY 4.0 license.